ცნობის ფურცელი

№ 2123 ოთხშაბათი, 16 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2123

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დავით სვიმონის ძე მიხხი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლის

თამარის

უდროვოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს დაკრძალავენ სოფ. რიონს, საგვარეულო სასაფლაოზე.

(0—1)

სპირიდონ გიორგის ძე და ირაკლი მახარობელის ძე სიხარულიძეები გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც დეპეშით, წერილით თუ პირადად სამძიმარი გამოუცხადეს **იორდანე გიორგის ძის სიხარულიძის** გადაცვალების გამო. (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედიანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმნი:

მ. ი. ჯაჯანიძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოშვი.—საშარდე (სიფილისური) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. ბედიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ზ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყელ-ყურის 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აგჯალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

ამზადებს მსურველთ როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად მარტივ და იტალიანურ ბუხჰალტერიასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა და კორესპონდენციაში.

ფასი მორიგებით.

მსურველთ ვთხოვ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ახალციხის შესახვევი, სახლი 17, ბუხჰალტერს. (3—3)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ივ. ნათაძეს. (ჟ. 0—10)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **„ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ქავქავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) დ ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—10)

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. მაკედონიის მდგომარეობა ისევ ძველებურია, ე. ი. შეუწყვეტელი არეულობა, სისხლის ღვრა და უარესის მოლოდინია გამეფებული. როდის ან ვინ მოუღებს ბოლოს ასეთ აუტანელ მდგომარეობას, არა სჩანს. ავსტრია-რუსეთის ელჩები ყოველ დღე ნახულობენ ოსმალეთის მბრძანებელს, ხან და ხან სხვა ელჩებიც მიდიან სულთანის სასახლეში, მაგრამ რეალური შედეგი არაფერი არის. ინგლისი გაჩუმებულია, ხმას არ იღებს და ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს მოლოდინის მოუსვენარობას.

ეხლა ხან იტალიის ელჩი ყოფილა სულთანთან მაკედონიის საქმეების გამო. სულთანს უთქვამს ელჩისათვის, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ მაკედონიაში რეფორმები შემოიღოს. ბრწყინვალე პორტას ეს „მტკიცე გადაწყვეტილება“ ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ არც რეფორმების განხორციელებისა და არც მაკედონიის დამშვიდებისა არაფერი ისმის. მიზეზი? ისევ ის მოუსვენარი ალბანელები, რომლებთანაც დღესაც მოლაპარაკება აქვს გამართული სულთანს—ნება მომეცით მაკედონიაში რეფორმები შემოვიღოო.

საშინელი რამ ხალხი ყოფილა ეს ალბანელები: მაჰმადიანთა მბრძანებელს, ფადიშაჰს მათ ნება დაურთველად ფეხი ვერ გადაუდგამს. ის ხომ ვიცით, რომ ერთმა ალბანელმა რუსეთის კონსული შჩერბინა მოჰკლა; მკვლელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს რუსეთის მთავრობის მოთხოვნით. მაგრამ იბრაჰიმის (შჩერბინას მკვლელია) სიკვდილით დასჯას შეიძლება მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყვესო, იწერება ერთი კორესპონდენტი: ალბანელებს გადაწყვეტილი აქვთ დიდი აჯანყება მოახდინონ, რომ დასჯილის სისხლი იძიონ.

თუ რეფორმის მტრებს არ სძინავთ, არც მაკედონელი რევოლიუციონერები ისვენებენ. ბოლგარიის სატახტო ქალაქი სოფია ცენტრია მაკედონელების მოძრაობის ხელმძღვანელებისა და სწორედ ამ ქალაქიდან იწერებიან, რომ მაკედონიის კრიზისი დღითი-დღე უფრო მწვავდება. ყოველ დღე ელიან დიდ-დიდ მოვლენათ; სალონიკში დარწმუნებით ამბობენ, რომ რევოლიუციონერები ემზადებიან ბანკების, საფოსტო დაწესებულებათა და სავაჭრო სახლების აფეთქებისათვის. პოლიცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს მათ წინააღმდეგ; ღამე განუწყვეტლივ მიდი-მოდიან ქუჩებზე დარაჯთა რაზმები. ოსმალეთის მთავრობა არწმუნებს ხალხს, რომ შიში არაფრის არის, რადგან ყოველი ღონისძიება გვაქვს მიღებულიო. მაგრამ მთავრობის ასეთმა განცხადებამ დამშვიდების მაგიერ კიდევ უფრო დააფრთხო ხალხი და ბევრი სხვაგან გადასახლებას ჰფიქრობს.

გერმანიის კანცლერს ბიულოვს რომ ჰკითხოთ კი, ყველაფერი მშვენივრად არის მოწყობილი ამ მშვენიერ ქვეყანაზე: „საქმეთა მდგომარეობა ევროპაში მშვენიერი არისო, უთქვამს ბიულოვს გაზეთ „ტან“-ის კორესპონდენტისათვის. ექვს გარეშეა, რომ ბალკანეთის კითხვა მორიგ კითხვად გადაიქცა. ისიც მართალია, რომ ამ კითხვას ვერ დავარქმევთ ჰქა წყალის ქარიშხალს—ჰქა მეტად დიდია, მაგრამ ევროპის სახელმწიფონი შეთანხმებულად სცდილობენ საშიშ სფერის შემოზღუდვას და ნებას არ მისცემენ არავის, რომ ეს საშიში სფერა საზღვარს გადასცდეს. ამ მხრივ სრული თანხმობაა სახელმწიფოებ შორის. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ბალკანეთის არეულობა ვერ დაარღვევს ევროპის მშვიდობიანობას—ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ასეთი დარღვევა არ მოხდეს“.

შესაძლებელია, რომ ბიულოვი მართალი იყოს და ევროპის სახელმწიფოებ შორის ომი არ ასტყდეს, მაგრამ ამით მაკედონიას რა უნდა ეშველოს? მის სატკივარს წამალი ვინ დასდოს? მაგრამ ევროპის დიპლომატიისათვის ეს კი არ არის საყურადღებო, არამედ ის, რომ მაკედონიის არეულობამ სხვა არ ჩაითრიოს, სხვაგან ახალი ცეცხლი არ გაჩნდეს და თუ მარტო მაკედონია იქნება ტანჯულ-წამებული, თავს ბედნიერად ჩასთვლის და ბიულოვთან ერთად იტყვის—ევროპაში საქმეთა მდგომარეობა მშვენიერი არისო.

იქნება ინგლისის გაჩუმების შეწყვეტამ გამოიწვიოს სასურველი ცვლილება ბალკანეთის ეხლანდელ აუტანელ მდგომარეობისა!?

ახალი ამბავი

◆ ბ. მ. ჯ—ისაგან მოგვივიდა შემდეგი შენიშვნა: „ცნობის ფურცლის“ გუშინდელს №-ში ეწერა, ვითომც ქუთაისის ბაგრატის ტაძარი აგებულიყოს 1103 წელს. ამ წელს კი არა, აგებულია 1003 წელს; თვით ტაძრის მაშენებელი ბაგრატ მე-III გარდაიცვალა 1014 წელს.“

ვბეჭდავთ ამ შენიშვნას, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არსებითად არაფრად სცვლის ბ. ფონ-შულცის საყურადღებო სა-

---

ფელეტონი

ბავშვის მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი პირველი.

დედის ბედნიერება.—დედის წერილიდან.—პოეტებიც ამკობენ დედის გრძნობას.—მოუმზადებლობა ჩვენის დედისა.—დედის გულის შემატკივარნი.—ძუძუთა ბავშვის უყურადღებოდ დატოვება.—პსიხოლოგი პრეიერის დაკვირვებანი.—ბავშვის სულის განვითარება დაბადებითვე იწყება.—გონებითი განვითარება „არაფრიდან“ იწყება.—ქ-ნი მალბრანშის აზრი.—ექიმი ლორენის განმარტებანი.—დასკვნა.

თქვენს სასიამოვნო წერილში შემდეგი სიტყვები ამოვიკითხე: „დღეს ჩემი ბედნიერების დღეა. ჩემი გული სავსეა იითა და ვარდით და თქვენცა გიხოვთ გაიხაროთ და მომილოცოთ ჩემი ცხოვრების ეს ბედნიერი დღეო. დღეს მე „დედა“ ვარ და ამ ჩემს დედობას თითქო ბუნებაც თანაუგრძნობდეს: იგი დამშვიდებულია ისე, როგორც ჩემი გული... მზე იჭვრიტება ჩემი ოთახის დარაბების ჰვრიტუმალში და მიალერსებს და მილოცავს ამ ბედნიერებასაო. ჩვენი კარმიდამო სავსეა ფრინველებითა. . ჭიკჭიკობენ და გალობენ და ერთი ორად მიორკეცებენ სასოებასა და სიხარულსაო“. მეც, ამ გარემოებისაგან ნასიამოვნები, სულითა და გულით გილოცავ ამ ბედნიერებას... მართლაცა და გამოუთქმელი და აუწერელია თქვენი აღტაცება და სიხარული, რომელიც თქვენს გადედებას თან მოჰყვა. რამდენს სხვადა სხვაობას შემოიტანდა თქვენს მყუდრო ოჯახში ეს თითის მტკაველა არსება!? ეხლა, უეჭველია, სძინავს თქვენს მერცხალს და თქვენ გაფაციცებით დასცქერით მის უმანკო სასოებით სავსე სახეს და გენდომებათ, რომ ჩანთქათ იგი თქვენს ალერსში, გინდათ მიტაცოთ იგი, მიიკრათ გულზედ და მთლად დაედოთ ამ მოციმციმე ვარსკვლავს...თქვენს სიხარულს, თქვენს ქვეყანას, დაუშრეტელს სიმდიდრეს. ყოველი მისი მოძრაობა, მისი ხმაურობა ერუანტელსა გგვრით; სიხარულს ეძლევით, როდესაც იგი შემოგჰყურებს თავის პაწაწკინტელა, სასიამოვნო თვალებს და სტირით, როდესაც იგი დაიღრიჯება რომელიმე მიზეზისა გამო. ასეთია ხვედრი ყოველი დედისა და ეგ გარემოება სრულიად არ მაკვირვებს მე. ტყუილად კი არ ამკობენ პოეტები დედის ამ გრძნობას! ტყუილად კი არ გაიძახის ჩვენი პოეზიით სავსე ხალხი: „მზე დაწვა და მთვარე შობაო“. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ მზის ძლიერი და ნაყოფიერი სხივები არ დაჰკლებოდეს თქვენს პატარა მთვარეს, რათა იგი „გაივსოს და გაიზარდოს“ თქვენი ნაზი გულის გასახარულად და ჩვენი ქვეყნის სანუგეშებლად.

მაგრამ თქვენ, ქალბატონო, როგორც თქვენი წერილიდან ვცანი, ჯერედ გამოუცდელი დედა უნდა ბრძანდებოდეთ და ნუ აგიყოლიებთ ეს ტკბილი ხმები პოეტებისა, ნუ დაემონებით ცხოვრების სიამეს და მეტადრე თქვენს დედობრივ გრძნობით აღზნებულ გულს, თორემ ბევრს ვარამს წააწყდებით ამ წუთისოფლად. ეხლა, უეჭველია, გარს გეხვევათ მრავალი თავისებურად „განსწავლული გულ შემატკივარი“ და ბევრი რჩევითა და დარიგებით გაგიჭედავენ ყურებს, მაგრამ უკულმართობის ასაცდენად ნუ აჰყვებით მათ გამოცდილებასაც, იქონიეთ თქვენი მსჯელობა და ნამდვილი გამოცდილი ადამიანების სჯასა და დაკვირვებაზედ ააშენეთ აღზრდა თქვენის შვილისა. აი, ეხლაც კი ძლიერია მაგ გამოცდილი „ნათლიდედების“ გავლენა თქვენზე, როდესაც ბძანებთ, რომ „ჩემი ემიკო ჯერ პატარაა, არაფრისა არა გაეგება-რა და, მაშასადამე, მის აღზრდა-წრთვნაზე ჯერ ადრეა შევიწუხო თავიო“. რამდენი შეუსაბამობა, რამდენი მავნებლობა იმალება ამ ცრუ შეხედულობაში, ბატონო ჩემო! ნუ თუ აქამდისინ ვერ შეატყვეთ, ვერ გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თქვენი ემიკო ჯერედ უნუგეშოა, უსიტყვო და სწორედ ამისთანა არსებას სჭირია ბეჯითობა და ყურადღება დედისა?! იგი ტირილით მოევლინა ქვეყანას და თქვენ კი უყურადღებოდ დატოვებული ბავშვი შეიძლება ტირილითა და ვიშით გაისტუმროთ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან—არ უმასპინძლოთ ამ დაუძლურებულ, უნუგეშო სტუმარს, არ გაუღიმოთ, არ შეუმსუბუქოთ ტანჯვა-ვაება ამ პაწაწინა არსებას. გაგიმეორებთ კიდევ, ქალბატონო ჩემო, რომ ეგ თქვენი შეხედულობა მეტის-მეტი ცრუ შეხედულობაა და ამასთანავე მავნეც. ამას ამტკიცებს მრავალი სწავლული და პედაგოგი და ამ მხრივ უფრო მისაბაძია დედებისაგან შესანიშნავი

კითხს: 800 წლის მაგიერ 900 წლის ხსენება ყოფილა წელს და მით უმეტეს უნდა მიექცეს ღირსეული ყურადღება ბ. ფონ-შულცის მიერ აღძრულ საქმეს.

◆ „ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს საზოგადოების სასარგებლოდ გამართოს თავად აზნაურთა ქარვასლის ბაღში **სახალხო სეირნობა** ლოტარია ალეგრით. გამგეობა ამასთანავე ატყობინებს გუბერნატორს, რომ სალოტარეო ბილეთი იქნება სულ 7500 და აქედან მომგებიანი 1500. თითოეული ბილეთი ეღირება 25 კაპ. ბაღში შესვლა ეღირება 40 კაპ.

◆ კავკასიის **საარქეოლოგიო საზოგადოება** შემოდგომისათვის გამოსცემს კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება, სხვათა შორის, წერილები ე. თაყაიშვილისა, მ. გ. ჯანაშვილისა (ურარტელების ქართველ ტომთან ნათესაობა), ა. ქალანთარისა და სხვებისა.

◆ ართვინიდან გვწერენ: ართვინის ქართველმა საზოგადოებამაც გადაიხადა პანაშვიდი უდროოდ გადაცვალებულ პოეტის **გრიგოლ აბაშიძის** სულის მოსახსენებლად.

◆ საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრს თავ. გოლიცინს გაეგზავნა მოხსენება **ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების** შესახებ. ეს მოხსენება ამას წინად განიხილა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს კომისია უკვე შეუდგა **ვაგზლის ქუჩის ცხენის რკინის გზის** შემოსავალ-ხარჯის გამორკვევას. როგორც ვუწყით, საბჭოს აზრადა აქვს ეს გზა გამოისყიდოს ალიბეგოვისა და ყორღანოვისაგან.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს გამოაცხადოს კონკურსი **სულით ავადმყოფთა** სამკურნალოს შენობის ასაგებად. სამკურნალო 100 ავადმყოფისთვის უნდა იყოს.

◆ ტფილისის საბჭოში ხმ. ვართანოვმა შეიტანა განცხადება **სასანიტარო სამკურნალო ნაწილის ორგანიზაციის** შესახებ. ბ-ნი ვართანოვი სწერს, რომ სასანიტარო სამკურნალო ნაწილისათვის დიდი ფული იხარჯება—100,000 მანეთამდე,—მაგრამ საქმე ვერ არის მაინც რიგიანად მოწყობილიო ვართანოვის აზრით, განსაკუთრებით ღარიბთა მკურნალობა კოჭლობს ტფილისში. განცხადების ავტორის აზრით, ეს საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს განსაკუთრებულ კომისიას.

◆ ამას წინად რუსეთის სამრეწველო სამექანიკო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, ხელი შეუწყოს ბარონ ფონ-როზენბერგის სისტემის სეტყვასთან **საბრძოლველ მორტირების** გავრცელებას. საბჭომ პასუხად მისწერა, გამოუგზავნოს 2 მანქანა საცდელად.

◆ ეს მესამე წელიწადია, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ სიღნაღის მაზრაში გამართული საწყობი ვაზის წამლებისა და მანქანებისა გაუქმდა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო. ამ მაზრის მემამულენი მეტად შევიწროებულნი იყვნენ ამ გარემოების გამო, რადგან ყოველთვის ტფილისში უხდებოდათ ჩამოსვლა. წელს საზოგადოების საბჭოს განკარგულებით მანქანებისა და წამლების **საწყობი ხელ ახლა გაიხსნა** სიღნაღის მაზრის შემდეგ სოფლებში: გურჯაანსა, კარდანახსა და ველის ციხეში.

◆ „პრიაზოვ. კრაი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: **სომეხთა კათალიკოსი** მიკირტიჩ I კიშინევს აპირებდა წასვლას; მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შესრულდება.

◆ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. **სულთან-კრიმ-გირეი ყირიმს** წავიდა.

◆ მოგვივიდა **ქართული, სომხური და თათრული წიგნაკები**, გამოცემული კავკასიის საექიმო საზოგადოებისაგან. ეს წიგნაკები, როგორც იციან მკითხველებმა, შედგენილია ექიმთა კომისიისაგან და ხალხში მუქთად რიგდება ჰიგიენურ ცნობათა გასავრცელებლად. ამ წიგნაკებში მოთავსებულია ცნობები და დარიგებანი ყვავილის, ქუნთრუშის და სიფილისის შესახებ და აგრეთვე წერილი „რა ნაირად უნდა იკვებებოდნენ ძუძუ მწოვარი ბავშვები“. ქართულ წიგნაკში მოთავსებული წერილები ზოგი ექ. ვაწაძის თარგმანია, ზოგიც თარგმნილია ექ. ტ. ქიქოძის ხელმძღვანელობით.

◆ კავკასიის სამოსწავლო უწყების განკარგულებით **საპატიო მზრუნველები** დაენიშნებათ ქუთაისის გუბერნიის შემდეგ დაბა-სოფლის პირველ დაწყებით სკოლებს: რედუტკალისა, ცაიშისა, ზუგდიდისა, ახუდისა, წებელდისა, ნაროშენისა, მაწარისა, გერკულისა, გოგითისა, აკვასისა, არადუსისა და აბხარგუნისას.

◆ რადგან **საქონლის ჭირი** ბევრს ადგილასა ჩნდება და ბეითლებს-კი ყოველთვის არ შეუძლიანთ დროზე გაგება, მთავრობამ განკარგულება მოახდინა, სოფლის მოხელეებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ხოლმე ამა თუ იმ ჭირის გაჩენის შესახებ ბეითლებს, რომ დროზე ზომები იქმნას მიღებული. ამასთან თუ მოხელენი რამე მიზეზის გამო არ აასრულებენ ამ ბრძანებას, პასუხის გებაში იქმნებიან მიცემული.

◆ საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ქიქოძე უკვე დაბრუნდა სიღნაღის მაზრიდან, სადაც სასოფლო **სამკურნალოების სარევიზიოდ** იყო. ბ-ნმა ქიქოძემ აცნობა გუბერნატორს, რომ სამკურნალოებში საქმეები წესიერად მიმდინარეობს და სამეურნეო ნაწილის კომიტეტები კარგად უძღვებიან მოვალეობასაო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ინჟენერმა ზაცეპლინსკიმ ქალაქის გამგეობას წარუდგინა წერილობით აზრი **საჰიდრავლიკო** სადგურის გამართვის შესახებ. ამავე სადგურის გამართვის თაობაზე ინჟენერმა კირაკოზოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას პროექტს საჰიდრავლიკო სადგურის შესახებ ვიდრე საბჭოს წარუდგენდეს, გადასცეს განსახილველად სატეხნიკო საზოგადოებას.

◆ გუშინ, 15 აპრილს, ტფილისის გუბერნატორის მიერ დანიშნულმა ტეხნიკოსთა კომისიამ უკვე **დაათვალიერა კუკიის ხიდი**.

◆ კავკასიის საარქეოლოგიო საზოგადოებას 1902 წელს შემოსვლია 4000 მანეთამდე, ხოლო დაუხარჯნია 100 მანეთზე ცოტა მეტი.

◆ გუშინ სოხუმის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს გაუგზავნოს ერთი ცალი ქალაქის ხმოსნების არჩევნების ინსტრუქციისა.

◆ როგორც „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, სოფელ კულაშში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ დაუწვავთ თავ. მიქელაძის წისქვილი. ცეცხლში დამწვარა მეწისქვილე.

◆ 14 აპრილს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სადავო ადგილის შესახებ. ქანანოვი და სხვები ქალაქ ტფილისს ედავებოდნენ 8 დესეტინა მიწას. ოლქის სასამართლომ უარი გამოუცხადა მოდავეთ და ადგილი ქალაქის საკუთრებად იცნო.

◆ ხვალისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ისაკ ახალაშვილისა, რომელსაც დედის გვემა ჰბრალდება; სერაფიონ კვარაცხელიასა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდება; ნიკოლოზ მეძმარიაშვილისა—ჰბრალდება თავ. ნიჟარაძის მოკვლა და სხვათა.

◆ 26 აპრილისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ნიკოლოზ და იოსებ დვალიშვილებისა და ილია ფერნაძისა, რომელთაც ქალის მოტაცება ჰბრალდებათ.

◆ ტფილისის საუქციო დარბაზს საჯარო ვაჭრობით ამა მიმდინარე წლის დამდეგიდან 15 აპრილამდე შემოსვლია სულ 8254 მან. 75 კაპ.

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლეს მთავრობას საჭიროდ უცვნია სიფხიზლის საზოგადოებებმა გააფართოვონ მოქმედება და გააძლიერონ სახალხო კითხვები. გადასახადთა დეპარტამენტმა განმარტა, რომ სასულიერო მთავრობის ნება-რთვით სიფხიზლის საზოგადოებებს შეუძლიანთ გამართონ კითხვები ყველგან, სადაც სკოლაა. საზოგადოებამ სკოლის მასწავლებელსა და მღვდელს დახმარება უნდა გაუწიოს ამ საქმეში, მიაწოდოს წიგნაკები, სურათები, ფარნები და სხვა. სასულიერო მთავრობამ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული კაცი კითხვებისთვის მიყრუებულ სოფლებში.

◆ ყირიმელ თათრებს სრულებით აღარ უდგებათ გული სამშობლოში და ათასობით ოსმალეთისაკენ მიეშურებიან. ამასთან თავიანთ მამულებს გროშის ფასად ჰყიდიან. ერთ სოფელში თათრებს საუკეთესო მამული დესეტინა 11 მანეთად გაუყიდნიათ, მეორე სოფელში—32 მანეთად, მესამეში—25 მანეთად. ასევე გროშის ფასად ჰყიდიან ავეჯს, საქონელს და სხვას.

ტფილისის ქალაქის საბჭო

გუშინ-წინდელი სხდომა გაიხსნა ქალაქის მოურავად ახლად არჩეულის, თავადის ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. სხდომის გახსნისათანავე თავადმა მიჰმართა ხმოსნებს შემდეგის სიტყვებით:

„თქვენ მოისურვეთ ქალაქის მოურავად ჩემი ახლად არჩევა. რადგან თქვენ, ქალაქის წარმომადგენლებმა, საჭიროდ და სასარგებლოდ სცანით ქალაქის მოურავად მე დაგესახელებინეთ, არც შემცდარხართ იმ იმედში, რომ მე უნდა დავმორჩილებოდი ამ სურვილს და ნებაც არა მქონდა ქალაქის მოურავობაზე კენჭის ჩამოტარების უარი მეთქვა. ამდენად თანაგრძნობითი არჩევა ჩემთვის იმის მომასწავებელია, რომ ჩემს რთულსა და მძიმე მოვალეობაში თქვენი სრული დახმარებაც მექნება. ვგრძნობ დიდს მოვალეობას ჩემს თანამდებობაში, მაგრამ მაინც ამიღია ვალად და მესამედ მიმიღია მოურავობა, რადგან წრფელის გულით მსურს ჩემს სამშობლო ქალაქს სასარგებლოდ გამოვადგე და ჩემი ვადის დასრულებამდე შრომა და მოვალეობა თქვენთან ერთად ვსწიო. ამასთანავე არ დაგიფარავთ, რომ მომავალ შრომაში მე მამხნევებს ის საქმეები, რომელიც ჩვენ ახლო მომავალში განსახილველი გვაქვს ქალაქის გაწეს-რიგებისათვის, მაგალითად: ქუჩა-მოედნების მოკირწყლა, განათება, სამაგალითო საყასბოს აშენება, მილის წყლის გაუმჯობესება და სხვა; ყველა ეს საქმეები მომავალ ოთხის წლის განმავლობაში უნდა ნამდვილად შესრულდეს და, ამ გვარად, თქვენ ის საქმეები უნდა დამამთავრებინოთ ეხლა, რომელიც, წინა წლებში მოურავად ყოფნის დროს, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ შევძელ შემესრულებინა.

თუ ეხლა, როცა ჩვენ ხელთ საშუალებაცაა, ვერ შევასრულეთ თუნდაც ნაწილი იმ საჭიროებათა, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, არ ვიხმარეთ ჩვენი ძალ-ღონე, ცოდნა და მეცადინეობა ყოველივე ამის კეთილად შესრულებისათვის, გულ-ახდილად უნდა აღვიარო, რომ შესაძლებელია თვით-მმართველობისადმი რწმენა შეირყეს და მცხოვრებლებსაც ნება ექმნებათ გული გაიტეხონ ჩვენზე, მათგან არჩეულებზე. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ვადის დასრულებისას მცხოვრებლები მადლობით მოიგონებენ, რომ, შეძლებისა და-გვარად, ჩვენ ქუჩა-მოედნებიც მოვკირწყლეთ, ელექტრონის განათებაც შემოვიღეთ, სამაგალითო საყასბოც ავაგეთ, ჩვენი სკოლებისათვის საკუთარი სახლებიც ავაშენეთ; ყოველივე ღონე ვიხმარეთ, მცხოვრებლებისათვის სუფთა და საკმაო წყალი მიგვეწოდებინა და ყოველისავე ამ გვარის გაწესრიგებით ტფილისიც სხვა გაწესრიგებულ ქალაქთა რიცხვში შევიტანეთ. აი, ამ იმედებით ვუყურებ ახლო მომავალს და დარწმუნებულიცა ვარ, გაერთიანებული შრომა ქალაქის საბჭოსა, იმის კომისიებისა, ქალაქის გამგეობისა და ქალაქის თვით-მმართველობის ყველა დაწესებულებათა ნებას გვაძლევს ტფილისის აუცილებელი საჭიროებანი დავაკმაყოფილოთ არა თუ მარტო ნივთიერისა, სულიერის განვითარების მხრითაც-კი.

დასასრულ მოგიძღვნით, ბატონებო, უღრმეს მადლობას, როგორც საპატიო არჩევისათვის, ისე იმისთვის, რომ შემთხვევა მომეცით ჩემის მეთაურობით დავასრულო ტფილისისადმი სამსახური იმ საქმეებში, რომელიც ჩვენდამი სამზრუნველოდ გადმოცემულის ქალაქის კეთილ-განწყობილებას შეადგენს.“

ხმოსნებმა და დამსწრე საზოგადოებამაც ტაშის ცემით მოისმინეს ეს სიტყვა.

მერე შეუდგნენ მორიგ საქმეთა განხილვას. დაასრულეს „ცეცხლისაგან დამზღვევ

ჰსიხოლოგი და მეცნიერი პრეიერი *). ამ შესანიშნავმა კაცმა თავისი ბავშვის დაკვირვება დაბადების პირველ დღიდანვე დაიწყო; ამას ის უნდა გამოერკვია თუ, რა პირობებში დაიბადა ეს ახლად მოვლენილი არსება? რა ნიშნებით შეიძლება გაიგოს კაცმა ბავშვის მომავალი ნიჭი? გაეგება რამე ამ პაწაწკინტელას იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც იგი გამოჰხატავს ხოლმე, თუ არა? ამ შთაბეჭდილებას აქვს რაიმე კავშირი თუ არა მის ტანჯვა-ავადმყოფობასთან? აქვს თუ არა ბავშს უნარი კეთილ დღეობისა და კმაყოფილების გაგებისა? ან ერთი სიტყვით როგორია მისი ზნეობრივი მდგომარეობა, თუ ეს სიტყვა შეიძლება მიუყენოთ ამ საცოდავ უაზრო არსებას, რომლის საქმე მხოლოდ ძუძუს წოვა და ძილია?! აი, ეს ერთი საბუთი, ქალბატონო ჩემო, იმ თქვენი ცრუ აზრის გასაქარწყლებლად, რომელიც ზევითა მქონდა მოყვანილი. წავიდეთ ქვევით. ბავშვის სულის განვითარება, როგორც თქვენც უნდა მოგეხსენებოდეთ, დაბადებიდანვე იწყება; ამ დროიდანვე იწყება ბავშვის მუშაობა—შეეთვისოს იმ გარემოებას, სადაც ამ პაწაწინა ადამიანმა უნდა იცხოვროს; იგი თანდათან ვითარდება და ითვისებს გარეშე საგნებიდან შთაბეჭდილებას და განა ამ გარემოებას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება და არ იზრუნოთ ამ განვითარებისათვის? ესეც რომ არ იყვეს, ჩემო ბატონო, იმას მაინც მიაქციეთ ყურადღება, რომ გონებრივი განვითარება ახალ დაბადებულისა იწყება **არაფრით**. იქნება ეს სიტყვა არ ეპაშნიკოს ზოგიერთ თავ-მოყვარე დედას, რადგანაც თავიანთი შვილი უმეტეს შემთხვევაში წარმოუდგენიათ ჭკვიან და განვითარებულ არსებად, მაგრამ მე კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენ არაფერთანა გვაქვს საქმე და განა გარემოებას არ უნდა მიაქციოთ თქვენი ყურადღება, თქვენი ზრუნვა, რომ ამ არაფრიდან კაცი გამოვიყვანოთ? ქალბატონ მალბრანშის ბრძანებისა არ იყოს, იმ წუთს, როდესაც ბავშვი სტოვებს ბნელეთს და მოდის ამ ქვეყნად, ჰხვდება სიცივეს, ყოველი გარეგანი საგანი ათრთოლებს მას, ყველაფერი აშინებს, რადგანაც ყოველივე ახალია ამისთვის, გამოუცნობელი და არც იცის თავი როგორ დააღწიოს, რა ღონე იღონოს. მხოლოდ-და სტირის და ჰკივის და ამ ტირილში და ჰკივილშია მისი ლოცვა და ვედრება, რათა გარეშე პირებმა დაიხსნან და დაიფარონ იგი ამ ტანჯვასა და შიშისაგან. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ გავიძახით: „ჩვენი შვილი ჯერ პატარაა, არა გაეგება რა და მის აღზრდა-წვრთნაზე შემდეგშიაც შეიძლება ვიზრუნოთო. ძალიან სასიამოვნოა, რასაკვირველია, ბაჯაღლო ოქროდ წარმოვიდგინოთ პირველი დღეები ბავშვის ცხოვრებისა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჯერ ჯერობით არა „კაცთანა“ გვაქვს საქმე, რომლის გრძნობები, გარდა შეხებისა, ჯერედ შეხუჩებულია და მისი ორგანოები არ არის ჯერ ხმარებაში; იგი ჯერედ უსიტყოა, მუნჯი, თუმცა კი ჰკივის, კივის, მაგრამ რა აზრი აქვს მუნჯის კივილსა და ჰკივილს? სხვათა შორის ამ გვარი შეხედულების ბრალია, რომ პირველ წელიწადს პროცენტი სიკვდილისა უდრის მეოთხედს დაბადებისას. ტყუილად კი არა ბრძანებს დოქტორი ლორენი: „ბავშვი პირველ ხანებში გაშლილი მინდორია ავადმყოფობისთვისაო. მრავალი იბადება და მრავალსავე ვუსპობთ სიცოცხლეს ჩვენი უზრუნველობით, ჩვენი გაუგებრობითაო. პირველი წელიწადი დაბადებისა—ეს ის ხანაა, როდესაც ცოტა რამ მიზეზი უნდა, რომ ბავშვი გამოვასალმოთ წუთი-სოფელსაო: ან თუ შევაციეთ, ან თუ დავაცხუნეთ, ან თუ გადავაცილეთ იმ ნორმალურ პირობებს ცხოვრებისას, რომელიც ამისთვის საჭირო იყოო და სხვ.“

მაგრამ ნუ შეღრკება თქვენი გული ამითაც. თქვენ ხელთ მრავალი საშუალება გაქვთ, ბატონო ჩემო, რომ ყოველივე დასთრგუნოთ და თქვენი საყვარელი ემიკოს აღზრდას ჭეშმარიტი გზა მისცეთ, მხოლოდ ამას გთხოვთ—თავიდან ამოიღოთ ეს თქვენი აზრი, რომელზედაც ამდენი გელაპარაკეთ ზემოთ. თბილ წყალში ბანაობა, თბილი ლოგინი, საშუალო ნათელი, სასიამოვნო ხმაურობა, ძარღვების ზომიერი მოძრაობა—იხმარეთ პირველ ხანებში ეს საშუალებანი, თუ გინდათ, რომ თქვენი ემიკო მუდამ მშვიდობიანად გამოიცქირებოდეს, რომ მუდამ მხიარული იყვეს, მუდამ მომთმენი, მოძრავი, სახე-დამშვიდებული, თვალებ დაწყნარებული და სხვ. და თუ როგორ შევასრულებთ ყველა ამას—ამის შესახებ სხვა წერილებშიაც გამოგელაპარაკებით.

ალ. ნათაძე

---

*) იხ. რუსულად ნათარგმნი მისი თხზულება „სული ბავშვისა“.

საურთიერთო საზოგადოების“ წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლის განხილვა, რომელსაც საბჭო წარსულ სხდომაზე შეუდგა. მოისმინეს სენატის უკაზი 1899 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ქალაქის საკრებულოს დადგენილებაზე ქალაქის საჩივრის გამო და სხვა წვრილმანი საქმეები. სახელოსნო სასწავლებლისათვის ახალი წესდების განხილვა დიდი ხანია განსახილველად ჰქონდა საბჭოს, მაგრამ ამ სასწავლებლის შესახებ საყურადღებო საკითხია გადასაწყვეტი და ამიტომ, მოურავის წინადადებით, ჯერ-ჯერობით ეს საქმე სიიდან ამორიცხა საბჭომ.

მერე შეუდგნენ კომისიების არჩევას. ხალხის ჯან-მრთელობისათვის მზრუნველ კომისიაში საბჭომ აარჩია: 1) არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ა. მ., 2) ანანოვი ს. ი., 3) ავთანდილოვი მ. ზ., 4) ბაბოვი ი. ს., 5) ვართანოვი ა. ი., 6) ვაწაძე ს. ი., 7) ვესელოვზოროვი მ. ნ., 8) გონიევი კ. ა., 9) ევანგულოვი ლ. გ., 10) ხატისოვი ა. ი., 11) სულხანიშვილი ი. ა. და 12) ლუნკევიჩი მ. ვ.

წყლის საჭიროების გამგე კომისიაში: 1) ალიხანოვი ი. მ., 2) ანდრეევი ა. პ., 3) ბაბოვი ა. ს., 4) ბაბოვი ი. ს., 5) ვართანოვი ა. ი., 6) ვაწაძე ს. ი., 7) ქალანთაროვი ნ. ხ., 8) კირაკოსოვი გ. ე., 9) ლუნკევიჩი მ. ვ., 10) მელიქ-კირაკოსოვი გ. პ., 11) ფრიდონოვი ა. თ. და 12) შაჰბუდაღოვი გ. გ.

მუხრანის ხიდის აშენების გამგე კომისიაში: 1) ბაბოვი ა. ს., 2) კირაკოსოვი გ. ე., 3) ფრიდონოვი ა. თ., 4) სურენიანცი ა. ღ. და 5) შაჰბუდაღოვი გ. გ.

სასაფლაოთა გამგე კომისიაში: 1) ბებუთოვი თავ. ა. ი., 2) გრიქუროვი ნ. ა., 3) მაიერი ი. ი., 4) სურენიანცი ა. ღ. და 5) ტიგრანოვი ი. თ.

საბჭოს თავმჯდომარედ იმ შემთხვევისათვის, როცა მოურავს კანონით არ შეუძლია თავმჯდომარეობა—არჩეულ იქმნა, 50 ხმით წინააღმდეგ 3-ისა, ნ. ნ. ოსტროგორსკი.

თეატრი

სოხუმი. ორშაბათს, 7 აპრილს, ადგილობრივ კლუბში სცენის მოყვარეთაგან, ქნ. ტერეზია შერვაშიძის მეთაურობით, გამართა წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოადგინეს აზიანის 3 მოქმედებიანი კომედია „ფული და ხარისხი“ და 1 მოქმედებიანი ვოდევილი „რაც არ მერგება, არ შემერგება“.

მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი მაკრინა თურქიასი, მაშო თურქიასი, მიქაძისა, ნაჭუკელისა და ბერელიძისა; ბ-ნნი ხიხაშვილი, ნაჭაძე, ნაჭყებიძე, კოზმავა, კობახიძე და სხვანი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა; ყველა თავის როლს დაკვირვებით ასრულებდა.

ხალხი ბლომად დაესწრო, ადგილების უქონლობისა გამო ბევრი უკანვე დაბრუნდა. საზოგადოების აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მოთამაშენი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვეს.

გ. ჩიქოვანი.

ქართველები ამერიკაში

(წერილი პარიზიდან)

ჩვენს მკითხველთ ეხსომებათ, რომ ერთმა ჩიკაგოელმა ანტრეპრენერმა ჩიკაგოს უკანასკნელ გამოფენის დროს საქართველოდან ამერიკაში წაიყვანა ოცამდე ჩვენებური ყმაწვილი, ქართულ ტანისამოსებში გამოწყობილები, საუკეთესო ცხენოსნები და მომღერლები. ამერიკელ ანტრეპრენერს იმედი გაუმართლდა და ჩვენებურების მომხიბლველმა გარეგნობამ, სწორ-უპოვარმა სიმარჯვემ, იარაღის ხმარებამ და ცხენოსნობამ ამერიკის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. გამოფენა რამდენი ხანია გათავდა, მაგრამ ჩვენებურები ამერიკაშივე დარჩნენ და ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა ქალაქებში დღემდე ყველას ხიბლავენ და აკვირვებენ. ამერიკის თვით საუკეთესო ცხენოსნებიც იძულებულნი გამხდარან თურმე ჩვენებურთათვის პირველობა დაეთმოთ ცხენოსნობაში. ამ გარემოებას მოხერხებული ანტრეპრენერი უფრო გაუმხნევებია და ამაზე წინად გურიიდან ოცი ყმაწვილი კაცი კიდევ დაუბარებია ნიუ-იორკში.

ეს ოცი კაცი, მათ მეთაურებს დიმიტრი ცინცაძეს და ლუკა სართაიშვილს, წინაწარ კარგად გაუწრთვნიათ ჩვენში და ამ ექვსის დღის წინად ბათუმიდან მარსელში ჩამოუყვანიათ. მთელის ექვსის დღის განმავლობაში მარსელელების ყურადღებას იქცევდნენ თურმე გურულები თავიანთის ჩაცმა-დახურვით, იარაღით, მიხვრა-მოხვრით, გურულ სხაპა-სხუპით ლაპარაკით. მთლად იარაღში ჩამსხდარი რაზმი რომ უნახავსთ, ზოგს რუსის ოფიცრები ჰგონებია ლანჩხუთელები, ზოგიც კავკასიის ყაზახ-რუსებს ეძახდნენ თურმე. წარმოიდგინეთ, მათის იქ ყოფნის ამბავი გაზეთშიაც კი დაუბეჭდავთ. აი, რასა ვკითხულობთ მათ შესახებ მარსელის გაზეთ „Le Réveil du Lion“-ში: „გუშინ გვეწვივნენ ბ-ნნი დიმიტრი ცინცაძე და ლუკა სართაშვილი, კავკასიელი ყაზახ-რუსები (cosaques du Caucase), რომელთაც ოცი მხედარი მიჰყავთ ამერიკაში, სადაც საზოგადოებას თავიანთი ცხენოსნობა უნდა აჩვენონ პონეი ბილის (Poney Bill) ცირკში. ამ უცხოელთა საუცხოვო ტანისამოსი, მათი თეთრი და რუხვის ფერი ბუხრის ქუდები, გრძელი სამოსელი (ჩოხა), ბრჭყვიალა მასრები, ოქრო-ვერცხლით დაფერილი იარაღი მთელს ქალაქს აკვირვებდა. ეს რაზმი მოვიდა ხუთშაბათს (2 აპრილს) გემ „Ortegal“-ით და ორშაბათს ნიუ-იორკის გზას გაუდგება Nord deutsche Leoyd-ის გემით. ქალაქის დასათვალიერებლად დაჰყვებათ თარჯიმანი Osias Cohen. როგორც გვითხრეს, ნაშუადღევის 3 საათზე უნდა დაათვალიერონ Borely-ის კოშკი. უეჭველია იქაც ყველას გააკვირვებენ“.

მარსელელნი ხომ გააკვირვეს ჩვენმა თანამემამულეებმა, მაგრამ გულგრილად არც პარიზელნი დახვედრიან. აქ ჩამოვიდნენ 7 აპრილს. ეს რაზმი, მთელ არსენალ ასხმული, ნამდვილ მეომრებს აგონებდა პარიზელთ. საცა-კი გაივლიდნენ, ქუჩებზე ტევა აღარ იყო ხოლმე. ყველას ყაზახ რუსები ეგონათ და აქეთ-იქიდან იძახდნენ: „Vive Cosaques!“ (ყაზახ-რუსებს გაუმარჯოს!).

საშინლად გაუხარდათ, როცა შემთხვევით აქაური ქართველები გვნახეს. სხვათა შორის, გვიამბეს, ჩვენი ანტრეპრენერი ჩვენს სიმარჯვეს ძალიან აფასებს და დიდს პატივში ვყევართო. მეტადრე ამერიკელი მანდილოსნები მოვხიბლეთო. ერთმა შეძლებულმა ქალმა ერთს ჩვენს ამხანაგს უთხრა ცოლად გამოგყვებიო, მარა აბდალმა ჩვენებური გურული ცოლი არჩია და ქე ჰამს ახლა გურიაში ჰალს და ლობიოსო. სამწუხაროდ, თითქმის ყველანი წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, რუსული ლაპარაკი, ისიც საყველპურო, ორმა სამმა თუ იცის. ინგლისური ოც კაცში ერთმა იცის, ლუკა სართაშვილმა, რომელსაც ეს ენა ამერიკაში ყოფნის დროს შეუსწავლია. თვითონაც კარგად გრძნობენ ამ ნაკლულევანებას და გულდაწყვეტილები სჩივიან: „უსწავლელები ვართ და ძალიან ვბრკოლდებითო. ცინცაძემ, რომელიც ამერიკაში რამდენსამე წელიწადს ყოფილა და იქაურობისათვის ცოტად თუ ბევრად თვალყური უდევნებია, გვითხრა, სალამოობით ყველას უფასოდ ასწავლიან ყველაფერსო, მარა, მე ყური არ ვათხოვე, ახლა კი რო ჩავალ, მოვკვდები და ინგლისურ ენას უეჭველად ვისწავლიო. სიკვდილი რავა არ არის, ყველა კაზაკებს გვეძახიან და ისიც ვერ გავაგებიეთ, რომ საქართველოს შვილები ვართო.

ამათვე გვიამბეს, რომ მეორე გუნდი მათის ამხანაგებისა ლონდონში არის და ლონდონის საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავს თურმე ცხენოსნობით.

წასვლის წინ სენ-ლაზარის სადგურზე მშვენიერათ შემოსძახეს „პატარა საყვარელო“, მოხდენილად ლეკურიც დაუარეს, გულ-აჩუყებულნი გამოგვეთხოვნენ და მატარებელმა შერბურგის ნავთსადგურისკენ გააქანა, საიდანაც გემი ექვსის დღის უკან ნიუ-იორკში გაიყვანს ყველას.

თ. ს.

წერილი რაჭიდან

სოფ. წესი და როსტომ ერისთავი.—
ისტორიული ნაშთები.

სოფელი წესი ონიდან 21 ვერსის მანძილზეა. სოფელი შემოზღუდულია ირგვლივ დიდრონის მთებით. სცხოვრობს 160 კომლი გლეხი და აზნაური და ერთი კომლი თავადი—ერისთავი. ეს ერისთავი იმ როსტომ ერისთვის შთამომავალია, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ამ ორასის წლის წინად იმერეთის მეფეს სოლომონ დიდს. წესი ძალიან ბოლოზე ადგილი ყოფილა მთელ რაჭის მაზრაში და არის ეხლაც. ასე რომ ქუთაისისაკენ მიმავალი მგზავრი წესს ვერ ასცდება, უსათუოდ ამ სოფელზე უნდა გაიაროს, რადგან სხვა მხრით გზა არ უხვდება. როსტომ ერისთავსაც ამისათვის მოხერხებული სოფელი ამოურჩევია საცხოვრებლად. როსტომს სოფლის დასავლეთით, გადმა-გამოღმა გამოუშენებია საყარაულოები. ეს საყარაულოები დღესაც ამაყად გადმოჰყურებენ ქვემო მიმდინარე რიონს. აქვე ყოფილა აშენებული დიდი ჭიშკრები. როცა ეს ჭიშკრები დაიკეტებოდა, რა გინდ მძლავრი მტერიც მოსდგომოდა სოფელს, ვერას დააკლებდა; ამასთანა მოხერხებულ ადგილზე ერთი მეციხოვნე ასი კაცი შეეძლო მოეკლა და იმას კი მტერი ვერას ავნებდა. ჭიშკარი ყოველთვის დაკეტილი ყოფილა. გამვლელ-გამომვლელს, ვისაც ჭირნახული მიჰქონდა, ერთ საპალნეზე ერთი ბათმანი ბაჟი უნდა დაეტოვებინა როსტომის განკარგულებით ყარაულებისათვის, ხოლო ვისაც ღვინო ექნებოდა, იმას ახდევინებდნენ ერთ საპალნეზედ ერთ ჩაფს იმ პირობით, რომ ყოველ ბაჟის გადამხდელს შეეძლო საბაჟო ღვინის ერთი კარგად მოსწაფება. უსვენებლად თუ გინდა ჩაფი კიდევ დაეცალა, ყარაულებს არა ჰქონდათ უფლება მეორეთ ბაჟი მოეთხოვნათ. ერთხელ თურმე, როგორც თქმულება გადმოგვცემს, ერთ მღვდელს მოჰქონდა ერთი საპალნე ღვინო. ყარაულებმა გაავსებინეს საბაჟო ჩაფი ღვინით და უთხრეს: მამაო, ერთი მოეწაფე ჩაფს და რამდენიც შეიძლო, მიირთვი, ხოლო რაც დარჩება, ჩვენ გვეკუთვნისო. მღვდელმა აიღო ხელში ღვინით სავსე ჩაფი, ადღეგრძელა როსტომ ერისთავი, უსვენებლად დასცალა ჩაფი და დასდვა ძირს. ყარაულები, ამ ამბის მნახველები, სახტად დარჩნენ, მაგრამ რაღას იზამდნენ. მღვდელმა ყარაულებს მადლობა უთხრა და გაუდგა გზას. ეს ამბავი აცნობეს როსტომს. როსტომმა დაიბარა მღვდელი თავის სახლში, ორი საპალნე ღვინო კიდევ აჩუქა და გაუშვა.

როსტომსა ჰქონია თავის სასახლეში სტამბა, სადაც ჰბეჭდავდა სასულიერო და საერო წიგნებს. სტამბის მოხელეთ მოუყვანია რუსი, გვარად ზუბოვი, რომლისათვის მიუცია აზნაურობა, მამული და ყმები სოფ. წესში. ამ ზუბოვის შთამომავლობას დღესაც მესტამბის შვილებს ეძახიან. არ ვიცით, ვის ჩაუვარდა ხელში როსტომის წიგნ-საბეჭდავი, არც ის ვიცით, სტამბას ბოლოს რა დღე დაადგა. როსტომს თავის კანონიერი ცოლი გაუშვია, მიუხტომია თ-დ აბაშიძის სოფ. სადმელს, წაურთმევია იმისთვის ცოლი და სახლად დაუსვამს. იმის მოძღვარს როსტომის ეგრეთი საქციელი ძალიან გაუკიცხავს და უთქვამს, შენი ცხონება არ იქნება, თუ ერთი კარგი ეკკლესია არ ააშენეო. როსტომს თავის მოძღვრის რჩევა დაუჯერებია და მდინარე რიონის ნაპირზე აუშენებია მღვთის მშობლის სახელობაზე ერთი დიდი და მშვენიერი ეკკლესია, ბარაკონით წოდებული. ბარაკონის მსგავსი ეკკლესია რაჭაში არ მოიპოვება, გარდა ნიკორწმინდისა. ეს ეკკლესია ძვირფასის ხელოვნებით არის ნაშენი, ეკკლესიაში შესანიშნავი მხატვრობაა. ბარაკონის ეკკლესია ეკუთვნის დღესაც ერისთავს, იგი სასაფლაო ადგილია. ნაწილი სასაფლაოსი ეკუთვნით რამდენსამე კომლ გლეხსა და აზნაურთ. ამასთანა ძვირფას ეკკლესიას ყავარი სულ დამპალი აქვს და ყოველის მხრიდან წვიმა ჩამოდის, ლამის არის კედლები ჩამოიქცეს და მხატვრობა გაფუჭდეს.

განო შიშინაძე.

დაბა-სოფლები

ხვარბეთი (გურია). მიწის მოსავალი ჩვენში კარგი იცის (ქცევაზე მოდის 50—80 ფუთი სიმინდი), მხოლოდ ამ ორ უკანასკნელ წელიწადს ხშირმა წვიმებმა და უამინდობამ შეაფერხა მოსავალი და ხალხსაც გული გაუტეხა. კარგი მოსავალი იცის დაბლა ადგილებში, სუფსისა და ნატანების ნაპირებში. ეს ადგილები უმთავრესად მემამულეებს ეკუთვნით. მიმდინარე წელს ხალხმა ერთბაშად აიღო ხელი დაბლა ადგილებში მუშაობაზე. მნახველს გაუკვირდება, რომ ეს აყვავებული მინდვრები, რომელიც წინად ამ დროს მოფენილი იყო მუშით და ხარ-კამეჩით, ეხლა ცარიელია. თუმცა მაღლა ადგილებში მეტი ითესება, მაგრამ ძნელად მოსალოდნელია, რომ ხალხის მოთხოვნილება ამან დააკმაყოფილოს.

წინად ხვარბეთის საზოგადოების მცხოვრებნი მაინც რიგად არ ეტანებოდნენ სწავლას, მაგრამ 1899 წლიდან ხალხმა ერთხმად შეიგნო სწავლის მნიშვნელობა და გულ-მოდგინედ შეუდგა სკოლის საქმეს. ჩვენს საზოგადოებაში 400 კომლი მცხოვრებია. სკოლაში ითვლება 200 მეტი მოსწავლე ყმ. აქ არსებობს ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა სამის მასწავლებლით, რომლის შესანახად საზოგადოება იხდის 700 მანეთს, ხოლო ხაზინა 450 მან. ორ-კლასიან სკოლისათვის საზოგადოებას აქვს აგებული ორი სახლი. სასწავლებელს აქვს საკუთარი 1500 კვ. საჟ. მიწა, რომელიც მოშენებულია მშვენიერის ბაღით. 28 მარტს აქ აკურთხეს ახლად დაარსებული საქალებო სკოლა, სადაც იმავე დღეს მოიყარა თავი 50 მოსწავლე ქალმა. ამ სკოლაში იქნება ორი მასწავლებელი ქალი, ხაზინის ჯამაგირით, ერთი საგნების მასწავლებელი, მეორე ჭრა-კერვისა და ქსოვისა. აქვე არსებობს გოგორეთის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. არის სოფლის აფთიაქიც.

ტ. გობეჩია

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). აღარა გვაქვს მოსვენება ქისტებისაგან. ორი-სამი დღე არ გავლის ისე, რომ ქისტებმა არსაით გაითარეშონ და არავის დაეცნენ, არ დააწიოკონ. აი, კიდევ მაგალითები: ამ თვის ორს, ლარსზე ოთხი ვერსის მოშორებით, ქისტები დაუხვდნენ მოხევეებს, რომელნიც სიმინდის სასყიდლად მიდიოდნენ კავკაზში, წაართვეს იმათ სამი ცხენი და თვით მოხევეებიც კინაღამ დახოცეს. ცხენი მიიტანეს ქისტის სოფ. ჯაირახში. ამავე თვის სამს ბალთის ზასტავის უფროსს მოჰპარეს ერთი ცხენი და ძროხა, ცხენი მიიტანეს ქისტის სოფ. ლიონი-ლადინაში. აღდგომა დღე რომ დაღამდა, სადგურ ლარსში ვაჭარ სოსიკო შადურს დაესხა ხუთი ქისტი; სამმა სოსიკო მიიღო ქვეშ, ორმა კიდევ გაძარცვა რაც რამ იშოვნეს დუქანში; დაეტოვებინათ მარტო ლორის ქონი. სადგურში მცხოვრებთ, სანამ ქისტები არ წავიდნენ, მანამ ვერა შეუტყვია-რა; როცა სოსიკომ აცნობათ თავისი თავგადასავალი, მცხოვრებთ ასტეხეს თოფების სროლა და ძლიერი ხმაურობა, მაგრამ გზის დარაჯნი ყაძახნი, რომელნიც მოვალენი არიან სადგურზე თვალის დაჭერის, არსაიდან არ გამოჩნდნენ. ხელმეორედაც რომ დაბრუნებულიყვნენ ქისტები და სადგური სულ აეკლოთ, მშველნი არავინ იყო. მეორე დილას აცნობეს ეს ამბავი ლარსში მცხოვრებს ბალთის მამასახლისის თანაშემწეს იოსებ დუდუშაურს; დუდუშაურმა სასწრაფოდ გაიყოლა ყაზახები, თავის დაბეგვილ-დათოთქვილი სოსიკოც და გაუდგა კვალ-და-კვალ ქისტებს. დუდუშაურმა მალე იპოვნა ქისტები, რომელთაც ერთ ადგილს ფარეხი ჰქონდათ. სოსიკომ ოთხი ქისტი იცნო. დუდუშაურმა ოთხივე შეიპყრო და წარადგინა სადაც ჯერ იყო. იოსებ დუდუშაურის მიერ ამისთანა შემთხვევაში ქისტების დაჭერა პირველი მაგალითი არ არის. შარშან ცხენიც მოუკლეს ქისტებმა შეტაკების დროს. შვიდს ამავე თვეს, ღამე, კაკაზზე ექვსის ვერსის მოშორებით, კოჭინის ფარეხს დაეცა ათი შეიარაღებული ქისტი. ქისტები კარს შემოერტყნენ და დაუშინეს თოფები სახლის ჩარდახს; ფარეხის ერთი დარაჯი დასწრეს ტყვიით ფეხში, დანარჩენები კი მიიმალნენ; შეაშინეს ქისტებმა ბოსლის კარი, გამოიყვანეს ხუთი სანაქებო ცხენი და გაუყენეს გზას. რამდენი ერთი უნდა მოვითმინოთ ქისტების ბოროტება და თავხედობა!

აღდგომის შემდეგ დღეს, ე. ი. ცხრას ამ თვეს აქეთ დიდი თოვლი მოვიდა; თოვლი მოვიდა აგრეთვე კაკაზს და იმის ახლო-მახლო სოფლებში, მაგრამ მალევე გადნა. საზოგადოთ აქეთ ჯერ-ჯერობით მშვენიერი გაზაფხულია. ბარად კარტოფილის თესვას და ბაღჩეულობის კეთებას უკვე შეუდგნენ.

ქართველი ოსებში.

„ბარტეკ ძლევა მოსილი“ სენკევიჩისა

(წ. კ. გ. საზოგადოების გამოცემა)

პატარა, მაგრამ დიდის ხელოვნებით დაწერილი და საგულისხმიერო შინაარსის წიგნაკია (106 გვერდია და ღირს მხოლოდ ერთ აბაზად).

პრუსიასა და საფრანგეთს ომი აუტყდათ. პოლონელი გლეხი, ბეჩავი და გულუბრყვილო, იძულებული ხდება ოჯახსა და ცოლშვილს თავი დაანებოს და თოფით ხელში ომის ველისაკენ გასწიოს. სად პოლონელი და სად პრუსიის გულისათვის საფრანგეთთან ბრძოლა, მაგრამ ბარტეკს ეს არ ესმის —იგი მხოლოდ შიშსა გრძნობს და თან აწუხარეა ოჯახის მიტოვების გამო. რისთვის მივდივართ ომშიო, ეკითხება ბარტეკი თანამგზავრებს და როცა ჩააგონეს, რომ ფრანგები არ დაინდობენ მაგდასაცო (ბარტეკის

ცოლს ერქვა), ჯავრი მოუვიდა და „გამხნევდა კიდეც იმ აზრით, რომ ამდენი ჯარი და ზარბაზნები (პრუსიელებისა) ესარჩლებიან მის მაგდას... ბარტეკი ეხლა კარგად მიხვდა, თუ რისთვისაც უნდა წასულიყო ომში“...

მოტყვილებული პოლონელი გლეხი გერმანელ უფროსების უდიერმა მქცევამაც ვერ გამოაფხიზლა—„პოლონელო პირუტყვო“, „პოლონელო ხარო“-ო ეძახოდნენ ბარტეკს (ვის არ გაუგონია ჩვენში დამცინავი „გრუზო“), მაგრამ მაინც იგი ომის ველისაკენ მიისწრაფვის, რომ თვისი მაგდა დაიცვას. სად მიუწვდებოდა საბრალოს გონება, რომ ბორკილებს იჭედავდა თავისთვის!

ომის ველზე პოლონელმა გლეხმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. პრუსიის მთავრობის განკარგულებით სამხედრო მუსიკა პოლონურ საგმირო ხმას უკრავდა—„პოლონელებს კი ოღონდ ეს ხმა გააგონეთ და! ყოჩაღ ბიჭებო! მთას მოექცევიან კიდეც წვეროზედ“-ო, ამბობს პრუსიელი სარდალი. ბარტეკი კი, ალბად, იმას ჰფიქრობდა, რომ პოლონურ ხმის დაკვრა პოლონელის პატივისცემა იყო (გაიხსენეთ „ჩვენებური მრავალჟამიერი“-ს როლი).

იყო ერთი მომენტი, რომელმაც კინაღამ თვალი აუხილა ბარტეკს: პრუსიელებს ტყვედ ჩაუვარდათ ორი პოლონელი, რომელნიც ფრანგების მხარეზე იბრძოდნენ—„გერმანელებს დაამარცხებენ და ჩვენებს (პოზნანელ პოლონელებს) შვება მიეცემათო“. მაგრამ ლოთობამა და გერმანულმა დისციპლინამ გლეხი ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენა.

დაბრუნდა სოფელში ძლევა მოსილი, ჯვარმენდლით ჩარიჩხინებული ბარტეკი. იგი მეტად კმაყოფილია თავის თავისა, ცოლს გაბედულად ელაპარაკება: „ruhig“ (რუსული—„სმირნო“)! მე ეხლა ბატონი ვარ. ტყვილად ეუბნება ერთი გონიერი გლეხი—გერმანელებმა გაიმარჯვეს... ისედაც ვძულდით და ეხლა ხომ აგვიბზუებენ ცხვირსო; ბარტეკი მაინც დარწმუნებულია, რომ ომის შემდეგ პოლონელები დიდი ვინმეები არიან პრუსიელებისათვის: „რატომ ვხოცავდი მე ფრანგებს? გერმანელებისათვის“, მაშასადამე, პატივი უნდა მცენო, გულუბრყვილოდ მსჯელობდა უბადრუკი გლეხი. მაგრამ სულ მოკლე ხანში მწარე სინამდვილემ ისე ძლიერ ჩაუკაკუნა თავში, რომ მანაც კი დაინახა ამ სინამდვილის სიდუხჭირე.

ბარტეკის შვილი პატარა ფრანიოკი სკოლიდან თავ-პირ დამტრეული მოვიდა—გერმანელ მასწავლებელს ეცემა, რადგან კათოლიკე ბავშვს ეთქვა, რომ რომის პაპია ყველაზე მაღალი ხელმწიფეო. ბარტეკი მიიჭრა მასწავლებელთან ამბის შესატყობად და როცა ისიც შეურაცხჰყვეს, ჩხუბი ასტეხა. გერმანულმა გაზეთებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს—ჩხუბს უტეხენ და სდევნიან გერმანელ მასწავლებელს, რომელსაც განათლება შეაქვს ველურ პოლონელებ შორისო (ჩვენც ვიცნობთ ასეთ კულტურ-ტრეგერებს!). ბარტეკი ციხეში ჩასვეს; ოჯახი გაღატაკდა; საბრალო მაგდას ერთი იმედი-ღა დარჩა—სოფლის მებატონე და მისი „ანგელოზი“ მეუღლე დაგვეხმარებაო: „ნამდვილი წმინდანია, ხატს ჰგავს და ჩვენი გლეხის მწუხარებაც ესმის“-ო, ანუგეშებს მაგდა თავის ქმარს. მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ: მებატონეს გლეხის მწუხარებისა არა ესმოდარა, მას მხოლოდ რეიხსტაგის დეპუტატობა უნდოდა და რაკი დამარცხდა, დრეზდენში წავიდა საცხოვრებლად. ბარტეკი, მაგდა და პატარა ფრანიოკი კი ქალაქის გზას დაუდგნენ, რადგან პატარა მიწა ხელიდან გამოეცალათ.

ასეთია საბრალო ბარტეკის ცხოვრების სამწუხარო ამბავი. მკითხველი უნდა დამეთანხმოს, რომ ეს ამბავი მართლა საგულისხმიეროა და ჭკუის მასწავლებელიც არა მარტო პოზნანელ გლეხისათვის, რომელიც ეხლა უკვე შორს არის ბარტეკისებურ შეხედულებისაგან.

ერთი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი ბარტეკის ცხოვრებიდან: პოლონელი დედაკაცი განთქმულია, იგია ნამდვილი შემნახველი ეროვნობისა; ბარტეკის მაგდაც კი ასეთია: იგი ასე ლაპარაკობს ჯარიდან დაბრუნებულ გალოთებულ ქმარზე—„ეს არც კათოლიკეა და არც კაცი... წყეული გერმანელია. ლაპარაკობს გერმანულად. ეგ ღვთის წინაშე მდევია, არა წინდა სულია!“

„ბარტეკ ძლევა მოსილი“ პირველად ქუთათურ ქალების „ქართულ ბიბლიოთეკა“-ში იყო დაბეჭდილი. წ. კ. საზოგადოების გამგეობას მეტად კარგი აზრი მოსვლია, რომ მივიწყებულ ჟურნალიდან ეს მშვენიერი მოთხრობა ამოუღია და ცალკე წიგნად გამოუცია. დარწმუნებული ვართ, რომ სულ მოკლე ხანში გაიყიდება მთელი გამოცემა, იმდენად „ჩვენია“ შინაარსით და ისე ხელოვნურად არის დაწერილი. ძველ ჟურნალებში ბევრი ასეთი მარგალიტია გაბნეული და იმედია მალე „ბარტეკის“ ბედი ეწევათ. წ. კ. საზოგადოების მოღვაწეობა იმდენად შემოფარგლულია ზოგი უსახსრობით, ზოგი სხვა დამოუკიდებელ მიზეზით, რომ უმთავრესი ყურადღება უთუოდ წიგნების გამოცემას უნდა მიაქციოს, მით უმეტეს, რომ ახალი მკითხველი გაჩნდა ჩვენში და ეს მკითხველი სანთლით საძებნი აღარ არის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო, რომ რუსეთის საავტომობილო საზოგადოება ხელმწიფე იმპერატორის უავგუსტოესის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს.

მოსკოვი. კვირას, გენერალ-გუბერნატორის სასახლეში, მათ იმპერატორებით უმაღლესობათ გამართული ჰქონდათ მუსიკალური საღამო, რომელსაც მათი უდიდებულესობანი დაესწრნენ. მიპატიჟებული იყო 70 კაცზე მეტი. საღამოს შემდეგ გამართა ვახშამი.

დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძის მფარველობის ქვეშ მყოფმა სასოფლო სამეურნეო და ფრინველის მოშენების საზოგადოებამ ხელმწიფე იმპერატორს მიართვა ამ საზოგადოების ნიშანი და გამოცემანი.

ჰელსინგფორსი. 13 აპრილს, მრავალ საზოგადოების დასწრებით, გაიმართა რუსული საქველ-მოქმედო წარმოდგენა.

პენზა. „გუბერნსკი ვედომ.“-ში დაბეჭდილია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება პენზენის თავად-აზნაურობას ებოძოს 250 ათასი მანეთი თავად-აზნაურთა საურთიერთო კასის დასაარსებლად.

ყაზანი. ყაზანის ბირჟის საზოგადოებამ დაადგინა კვლავ იშუამდგომლოს, რომ ყაზანი ციმბირის რკინის გზას შეუერთონ კოტელნიჩზე შტოს გაყვანით.

ყაზანის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარედ თუხიაშნიკოვი არჩიეს.

მოსკოვი. 14 აპრილს, 3 საათსა და 20 წ., მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი მივიდნენ მოსკოვის თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფარის ახალ შენობაში, სადაც მათ მიეგებნენ მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და პანსიონის დირექტორი. ხელმწიფე დედოფალსა და დიდ მთავრინას თაიგულები მიართვეს. მერე სართულის დარბაზში დამწკრივებულნი იყვნენ პანსიონში მყოფი ბავშვები. ამალისა და მინისტრების, ფრეილინების და შლეფს, თანხლებით მათი უდიდებულესობანი შევიდნენ პანსიონის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა მცირე პარაკლისი. ეკლესიის მნათემ, გრაფ ორლოვ-დავიდოვმა, ხელმწიფე დედოფალს მე-15 საუკუნის ჯვარი მიართვა. შემდეგ უავგუსტოეს პირებმა დაათვალიერეს პანსიონი, მიირთვეს ჩაი და თავიანთი სახელები ჩასწერეს პანსიონის საპატიო სტუმართა წიგნში. მოწაფეებმა „ურას“ ყვირილით გააცილეს მათი უდიდებულესობანი. ქუჩებში მრავალი ხალხი იდგა, რომელიც „ურას“ იძახდა. მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს კიდევ მოსკოვის სამრეწველო სასწავლებელი და მიუსის საქალაქო კლასები.

კაპ-გაიტი. რევოლიუცია დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ბონი. მოვიდა ლუბე და დელკასესაგან დეპეშა მიიღო, რომ 15 აპრილს მარსელში ამერიკის ესკადრა მივა ლუბეს მისასალმებლად. ლუბე ტუნისს წავიდა.

პეტერბურგი. 1-ლ აპრილს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ხარკოვიდან დეპეშა მოუვიდა რადულოვიჩის გადაცვლების შესახებ. დეპეშა ხელმოწერილი იყო სააგენტოს აგენტის მიერ. აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი სიცრუეა და ჩვენს აგენტს ასეთი დეპეშა არ გამოუგზავნია. ამ საქმის ჩამდენი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

15 აპრილი.

პეტერბურგი. რადგანაც გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი სამსახურის საქმეების გამო სხვაგან წავიდა, უმაღლესად ნაბრძანებია მისი თანამდებობის ასრულება მთავარ შტაბის უფროსს გენერალ-ადიუტანტ სახაროვს მიენდოს.

მოსკოვი. დღეს ხელმწიფე-იმპერატორმა და დიდმა მთავარმა დაათვალიერეს კრემლის ეკატერინოსლავის და სპასის ასტრახანის გრენადერთა პოლკების კაზარმები. ხელმწიფე-იმპერატორმა დაათვალიერა სამზარეულოებიც, ჰსინჯა საჭმელი და დაესწრო ოფიცერთა კრებებს.

ხელმწიფე-იმპერატორმა ინახულა გრაფი შ. ა. შუვალოვი.

არხანგელსკი. გემმა „ლუნა“-მ, რომელიც გუბერნატორის თხოვნით იყო გაგზავნილი, გადაარჩინა ამას წინად ყინულისაგან წაღებული ხალხი.

ვენა. აქ მოვიდა საქსონიის მეფე.

ტუნისი. ლუბე წავიდა.

რომი. ინგლისის მეფე მოვიდა. მას დახვდა სადგურზე მეფე. შემდეგ ორივენი მშვენივრათ მორთულ ქუჩებით ტერმინის მოედნისაკენ გაემართნენ. იქ ბურგომისტრი მიესალმა ინგლისის მეფეს. შემდეგ ორივე მეფენი კვირინალისაკენ წავიდნენ, სადაც მეფე ედუარდი დედოფალს ელენეს მიესალმა.

ტუნისი. ლუბემ და დელკასემ ინახულეს ტუნისის ბეი. ამის შემდეგ უფროსი პრეზიდენტის სასახლეში ოფიციალური მიღება მოხდა და გაიმართა საუზმე, რომელზედაც ბეიმ წარმოსთქვა სიტყვა. ამ სიტყვაში იმან ერთგულება გამოუცხადა საფრანგეთის რესპუბლიკას. ლუბემ ამაზე მადლობა გადაუხადა.

ნიუ იორკი. ვილემსტადტიდან მოსულ ცნობებით, ინსურგენტებმა ვენესუელის მთავრობის ჯარები დაამარცხეს და ეხლა კოროს ახლოს გამაგრდნენ.

მეცი. იმპერატორ ვილჰელმმა ვეზელერს 50 წლის სამსახურის იუბილეის გამო გენერალ-ფელდმარშლის წოდება მისცა.

ოდერის ფრანკფურტი. გუშინ კენიგსბერგში გარდაიცვალა კედელი, რომელიც რომში გერმანიის ელჩად და ბისმარკის მემუარების რედაქტორად იყო.

პრაგა. 438 ჩეხების რწმუნებულთ ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „ეხლანდელი მმართველობა უყურადღებოდ სტოვებს არსებულ წეს-რიგს და გერმანელთა უპირატესობის თხოვნას მისდევს. ეს კი ჩეხთა ინტერესებს ავნებს. ამიტომ საჭიროა, რომ ჩეხთა დეპუტატები ეხლანდელ მთავრობის შეურიგებელ ოპოზიციონისტებად დარჩნენ“.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზი	94,05	
ბერლინზე 100 მარკაზი	—	
პარიზზე 100 ფრანკზი	37,45	
ლონდონზე ჩეკები	94,95	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	98⅜	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	101	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100¼	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅜	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	437	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	335	„
5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ. მამ. ბანკისა	298	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც.	91¾	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	201	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (საძილავაგონებით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ფორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ფორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—20)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოუმა ბაზანისა.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთა მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 15 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)